## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

## ბრძანება №1406

თბილისი „06“ 11 2019 წ.

**„2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე აპლიკანტთა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 ოქტომბრის N1208 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 05 ნოემბრის N1503286 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე აპლიკანტთა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 ოქტომბრის N1208 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

„$1^1$. 2019 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე აპლიკანტთა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიულ ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 07 ნოემბერი.“.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მიხეილ ბატიაშვილი